ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 219

28 დეკემბერი 2016 წელი

ქ. სიღნაღი

ერთის მხრივ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დავით ჯანიკაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პისიშოპ.ჯი“ (შემოდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ხორგუაშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: სიღნაღის მუნიციპალიტეტისთვის ინტერნეტის შიდა ქსელისთვის საჭირო აპარატურა, აღწერილი დანართ SO173413-ში, რომელიც არის ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს : 583 (ხუთას ოთხმოცდასამი).

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა, ვალუტა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიღება-ჩაბარების დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. კლასიფიკატორის კოდი

4.2 კლასიფიკატორის კოდი : 44320000; 32412110.

5. მომსახურების ვადა

5. 1 მიწოდების თარიღი: მიწოდება მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში, 2017 წლის 09 იანვრის ჩათვლით, მისამართზე თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16.

6. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენს :

1. გიორგი ბურდულაძე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარომო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი მოვალეობის შერულებისაგან.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვალ დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების და მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამით იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.5 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შესყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6 შემსყიდველს ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

ა) თუ მიმწოდებელი არ არსრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას,

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

8.7 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშNულის არსებობის შემტხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 დაუძლეველი ძალა ეს არის ის გარემოება, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნდა წინასწარი გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წაინააღმდეგ შემტხვევაში მხარე არ განთავსიუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

9.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პროცესში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემტხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავსი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

11.5 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

11.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და იანხება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შესყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელმოწერა უნდა შეწსრულდეს ქართულ ენაზე.

11.7 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 26 დეკემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 06 თებერვლის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა ქ. სიღნაღი, აღმაშენებლის 2	შპს „პისიშოპ.ჯი“
ს/კ 240 417 223	ს/კ 205198481
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს. „საქართველოს ბანკი“
TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE24NB0100200165022	ა/ნ GE27BG0000000184252600
სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი	დირექტორი :
/ დ.ჯანიკაშვილი /	/ ზურაბ ხორგუაშვილი /